მოქალაქის გზამკვლევი

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი

2/1/2024

სარჩევი

შესავალი 3

ახალციხის მუნიციპალიტეტი - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა 4

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა 6

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები 11

საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში 12

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი 14

- ბიუჯეტის შემოსულობები 14
- ნაშთის ცვლილება 17
- ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით 18
  - წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები 21
  - ინფრასტრუქტურის განვითარება 22
  - დასუფთავება და გარემოს დაცვა 25
  - განათლება 26
  - კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 29
  - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 33
- ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით 34

შესავალი

ბიუჯეტის მგზამკვლევის შემუშავება ეხმარება მოქალაქეს მარტივ, მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია მუნიციპალური ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. გზამკვლევში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების მოკლე აღწერას, წარმოაჩენს მათ მიზნობრიობას, დაგეგმილ აქტივობებს სძენს მეტ საჯაროობას.

ბიუჯეტის გზამკვლევი მოიცავს ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მოკლე აღწერას. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილი იყო 2023 წლის 15 ნოემბრისთვის, რომელიც საკრებულოს მიერ დაუბრუნდა მერიას. ბიუჯეტის პროექტის განახლებული ვარიანტი წარედგინა საკრებულოს 10 დეკემბრისთვის. ახალციხის საკრებულოს #22 დადგენილებით მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2023 წლის 25 დეკემბერს. საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი არ ითვალისწინებდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერს და წლის ბოლოსათვის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებულ ნაშთებს. 2024 წლის 30 იანვარს საკრებულოს #1 დადგენილებით მიღებული იქნა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული ბიუჯეტის ცვლილებები, რომელშიც აისახა მუნიციპალიტეტის მიერ დამატებით მიღებული ტრანსფერები და საბიუჯეტო ნაშთები. გზამკვლევში წარმოდგენილი მონაცემები სწორედ 2024 წლის ბიუჯეტის ამ პარამეტრებს ეფუძნება.

წარმოდგენილი ინფორმაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული წლის მონაცემებით. მასში 2024 წლის საბიუჯეტო მონაცემები შედარებულია გასული 3 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ბიუჯეტის გზამკვლევში ასევე მოცემულია ინფორმაცია საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ, საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებზე და თვითმმართველობების საბიუჯეტო პროცესზე.

გზამკვლევში მოყვანილი 2023 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს eTreasuary სისტემაში 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებულ მონაცემებს. 2023 წლის გეგმიური მაჩვენებლები შესაძლებელია რიგ შემთხვევებში არ ემთხვეოდეს საკრებულოს მიერ დატკიცებული ბიუჯეტის მონაცემებს და განსხვავების მიზეზი შესაძლებელია იყოს სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები, რომელთა ასახვა ბიუჯეტის დაზუსტებულ მაჩვენებლებში განხორციელდა 5%-იანი გადანაწილებით წესის მიხედვით.

ახალციხის მუნიციპალიტეტი - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა

ახალციხის მუნიციპალიტეტი, — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული სამხრეთ საქართველოში, სამცხე-ჯავახეთის მხარეში. ადმინისტრაციული ცენტრი — ქ. ახალციხე. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე ტფილისის გუბერნიის ახალციხის მაზრაში შედიოდა, 1917–30 წლებში — აღმოსავლეთ საქართველოში ახალციხის მაზრის სახელწოდებით, 1930 წლიდან ცალკე რაიონია. 2014 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიას გამოეყო ქალაქი ახალციხე.

მუნიციპალიტეტი მდებარეობს ახალციხის ქვაბულში, უჭირავს მტკვრისა და ფოცხოვის ხეობები. მუნიციპალიტეტის ტერიტორია — 1010 კვ.კმ-ა, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 410 კვ.კმ. ახალციხის მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ხარაგაულისა და ბორჯომის, აღმოსავლეთიდან -ასპინძის, ხოლო დასავლეთიდან - ადიგენის მუნიციპალიტეტი. სამხრეთის საზღვარი ემთხვევა საქართველო – თურქეთის სახელმწიფო საზღვარს.

ახალციხის მუნიციპალიტეტში თავს იყრის მოსაზღვრე სახელმწიფოებიდან: სომხეთიდან და თურქეთიდან მომავალი გზები. მის ტერიტორიაზე გადის საქართველოს საერთაშორისო ავტომაგისტრალები ს 8 და ს 11; აგრეთვე ახალციხე - ბათუმის გზა, ასევე ხაშური-ვალეს რკინიგზის მონაკვეთი.

ხალციხის მუნიციპალიტეტის უმეტეს ნაწილში მთიანეთის სტეპების ჰავაა, ზამთარი – ცივი, მცირეთოვლიანი, ზაფხული - ხანგრძლივი და თბილი. ახალციხის ქვაბულის ძირზე იანვრის საშუალო ტემპერატურა 3,8 °C, აგვისტოსი 20,5 °C. უფრო მაღალ ზონაში, მესხეთის ქედზე, ზღვის ნოტიოდან ზომიერად ნოტიო კონტინენტურზე გარდამავალი ჰავაა. ერუშეთის ქედის თხემურ ზოლში მთიანეთის სტეპების ჰავაა, ზაფხული – მოკლე, ზამთარი –

ცივი, ნალექები დაბალ ზონაში 520 მმ არ აღემატება წელიწადში, მოსაზღვრე ქედების კალთებზე კი 1200 მმ არ აღწევს. ნალექების მაქსიმუმი მოდის მაისსა (64 მმ) და ივნისში (86 მმ) მინიმუმი ზამთრის თვეებში (იანვრი 20 მმ, თებერვალი 25 მმ).

ადგილობრივი თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოა საკრებულო, აღმასრულებელი თანამდებობის პირია გამგებელი. ტერიტორიული ერთეულებია: ქალაქი — 1: ვალე; თემი — 14: აგარა, ანდრიაწმინდა, აწყური, ელიაწმინდა, კლდე, მინაძე, პამაჯი, საძელი, სვირი, სხვილისი, ურაველი, ფერსა, წყალთბილა, წყრუთა.

მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკურად ქართველია - 64,8%, ეთნიკურად სომხები კი - 34,5% შეადგენენ. ეკონომიკის წამყვანი დარგია მრეწველობა, არის მოპოვებითი და გადამამუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოები. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია მეხილეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მოჰყავთ მარცვლეული კულტურები.

სტატისტიკის სამსახურის ბოლო ინფორმაციით ახალციხის მუნიციპალიტეტში მოსახლეობა შეადგეს 39.6 ათას კაცს.

გრაფიკი #1

საქართველოს მოსახლეობა მუნიციპალიტეტების მიხედვით (ათასი კაცი)



* გრაფიკის თავსებადობის მიზნით, მონაცემები არ მოიცავს ქ. თბილისის მაჩვენებლებს

ეკონომიკის წამყვანი დარგია მრეწველობა, არის მოპოვებითი და გადამამუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოები. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია მეხილეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მოჰყავთ მარცვლეული კულტურები.

ახალციხის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდია: https://www.akhaltsikhe.gov.ge

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის „საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციების შესასრულებლად, ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით, სამართლებრივი აქტებით რეგულირებული საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა“.

ტერმინი „ბიუჯეტი“ („Budget”) ინგლისური სიტყვაა და ტომარას ნიშნავს. დღევანდელი მნიშვნელობით ამ ტერმინის გამოყენება ისტორიულ წყაროებში პირველად გვხვდება ინგლისის თემთა პალატაში. როდესაც მთავრობა თემთა პალატას ფულს სთხოვდა, ხაზინის კანცლერი ხსნიდა პორტფელს (ტომარას), სადაც სახელმწიფო შემოსავალების და ხარჯების ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტი იყო. ამას უწოდებდნენ ბიუჯეტის გახსნას.

დღეს საქართველოში ბიუჯეტი წარმოდგენს შესაბამისი დონის ხელისუფლების ორგანოების მიერ საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღებ და გასაცემ ფულადი სახსრების ერთობლიობას, მათი შეგროვებისა და გადახდის გეგმას. ამ სახით პროგნოზი კეთდება მომდევნო 4 წელზე, ხოლო მმართველობის შესაბამისი ორგანობის მიერ ბიუჯეტი მტკიცდება და აღსრულებას ექვემდებარება მომდევნო 1 წლისათვის.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა აერთიანებს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს. დღეს მოქმედი კანონმდებლობითა და საბიუჯეტო მოწყობის მიხედვით საქართველოში არსებობს ბიუჯეტის სამი დონე: საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტები. ბიუჯეტები მტკიცდება შესაბამისი დონის საკანონმდებლო ხელისუფლებების მიერ.

- სახელმწიფო ბიუჯეტი - მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ;
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი - მტკიცდება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი - მტკიცდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს მიერ.

ბიუჯეტების სიდიდისა და პროპორციის ვიზუალური აღქმისთვის ინფორმაცია წარმოდგენილია გრაფიკი #2-ზე. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის 84%-ს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი, 1%-ზე ოდნავ მეტია აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ჯამური სიდიდე ნაერთი ბიუჯეტოს 15%-ია, საიდანაც ქ. თბილისის ბიუჯეტი - 6%, ხოლო დანარჩენი 9% ნაწილდება 65 მუნიციპალიტეტზე.

გრაფიკი #2



გზამკვლევში ყურადღებას გავამახვილებთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტზე. კერძოდ იმ საკითხებზე, თუ რას წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტი, რა როლი უჭირავს მას ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში, რა სახის კავშირი და დამოკიდებულება აქვს თვითმმართველობების ბიუჯეტებს სხვა დონის ბიუჯეტებთან.

თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი, რომელსაც აქვს საკუთარი ადმინისტრაციული საზღვრები. ხოლო, ადგილობრივი თვითმმართელობა არის შესაბამის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეთა უფლება, მათ მიერ არჩეული თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. სწორედ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი წარმოადგენს ამ საკითხების გადაწყვეტის ძირითად და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილება არის ის უფლებამოსილება, რომელსაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით. ხოლო, დელეგირებული უფლებამოსილება - სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილება, რომელიც შესაბამისი მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობას. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობები და სხვა ბიუჯეტიდან მიღებული არასაკუთარი შემოსულობები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება ბიუჯეტის მიერ მიღებული სესხი და გრანტი, აგრეთვე სპეციალური, კაპიტალური და მიზნობრივი ტრანსფერები. ბიუჯეტის ყველა სხვა შემოსულობა წარმოადგენს თვითმმართველობის

ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობას, რომელთა გამოყენებაც მუნიციპალიტეტს შეუძლია დამოუკიდებლად, საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად. სწორედ საკუთარი შემოსულობები და მათი დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობა უზრუნველყოფს მუნიციპალური ბიუჯეტის დამოუკიდებლობას.

თუ ვნახავთ გასული წლების მუნიციპალიტეტების შემოსულობების ნაერთ მაჩვენებლებს გამოჩნდება, რომ მუნიციპალური ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლები სწორედ მისი საკუთარი შემოსულობებია. მაგალითისთვის, 2022 წლისათვის მუნიციპალიტეტების ნაერთ შემოსულობებში საკუთარი შემოსულობების ფაქტიური მაჩვენებელი 82% იყო (გრაფიკი #3).

გრაფიკი #3



გრაფიკ #4-ზე მოცემულია საკუთარი შემოსავლების სტრუქტურა 2022 წლის ფაქტიური შემოსავლების მიხედვით. გრაფიკში მოცემული სხვა შემოსავლების მონაცემი აერთიანებს შემოსავლების საბიუჯეტო კლასიფიკაციის როგორც სხვა შემოსავლებიდან, ასევე, არაფინანსური (კაპიტალური შემოსავლები) და ფინანსური (ძირითადად ნაშთის გამოყენება) აქტივებიდან მუნიციპალურ ბიუჯეტებში მობილიზებულ თანხებს.

გრაფიკი #4



უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში 2019 წლის 1 იანვრიდან განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მუნიციპალიტეტის შემოსავლების როგორც ფორმირებაზედ ასევე მის სტრუქტურაზე. კერძოდ:

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში განხორციელდა ცვლილებები საბიუჯეტო კოდექსსა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლის მიხედვითაც შეიცვალა მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემა, კერძოდ, მუნიციპალიტეტების აღარ მიეცემათ გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა სახეებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანად მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, მათ ნაცვლად მუნიციპალიტეტების დასაფინანსებლად მიიმართება დღგ-ს სახით მიღებული შემოსავლების 19,0%.

როგორც მონაცემებიდან ჩანს მუნიციპალიტეტის შემოსულობებში მნიშვნელოვანი ადგილო უჭირავს დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებულ შემოსავლებს (საკუთარი შემოსავლების - 52% და ნაერთი შემოსავლების - 38%), რომელმაც როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, 2019 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად, ჩაანაცვლა გათანაბრებითი ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი. უნდა აღინიშნოს, რომ გათანაბრებით ტრანსფერთან შედარებით დღგ-მ მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტების შემოსავლები.

მარტივად აღსაქმელად, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტის შემოსავლის წყაროები ჩვენ პირობითად შეგვიძლია დავყოთ 3 ნაწილად:

საგადასახადო შემოსავლები - შემოსავლის ეს წყარო მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონების გადასახადის 100%-ს და დამატებითი ღირებულების გადასახადის ნაწილს, რომლიც გამოთვლაც ხდება სპეციალური ფორმულით სადაც მონაწილეობს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლები; შემოსავლის ეს წყარო მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავალებს მიეკუთვნება.

გრანტები (ტრანსფერები) - საერთაშორისო ორგანიზაციები და მთავრობების მიერ გამოყოფილ გრანტები. ასევე, სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილ ტრანსფერები. მათ შორის, მიზნობრივი, სპეციალური და კაპიტალრ ტრანსფერები (2019 წლიდან აღარ არსებობს გათანაბრებითი სტრანსფერი). შემოსავლის ამ წყაროდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის არასაკუთარ შემოსავლებს მიეკუთვნებათ.

სხვა დანარჩენი შემოსავლები - შემოსავლის ამ წყაროში გავაერთიანეთ ბიუჯეტის სხვა შემოსავლებს მიკუთვნებული შემოსავლები (მაგ. მოსაკრებლები, ჯარიმები, დივიდენდები, ლიცენზისები და ა.შ.), კაპიტალური შემოსავლები (შემოსავლები პრივატიზაციიდან), ფინანსური აქტივების (ნათშის გამოყენება, სესხის დაბრუნება) და ვალდებულებების (საგარეო ან საშინაო სესხის აღება) ცვლილებით მიღებული შემოსავლები. ჩამოთვლილი შემოსავლებიდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება საბიუჯეტო კლასიფიკაციით კლასიფიცირებული სხვა შემოსავლები, კაპიტალური შემოსავლები და ფინანსური აქტივების ცვლილებიდან (ძირითად შემთხვევებში ნაშთი) მისაღები თანხები.შემოსავლების ზემოაღნიშნული კლასიფიცირების მიხედვით გრაფიკ #5-ზე მოცემულია 2021 წელს, ჯამურად მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ჩარიცხული თანხები და მათი პრიპორცია.

გრაფიკი #5



საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები

საქართველოში დღეს მოქმედი საბიუჯეტო სისტემა რეგულირდება სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტით. სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისთან დაკავშირებული დებულებები ასევე გაწერია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 თავში. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობების კოდექსი“-ს მე-5 კარი მთლიანად შედგება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ეკონომიკური საფუძვლების დებულებებისაგან. ასევე, ამავე ორგანული კანონის გარდამავალი დებულებები არეგულირებს მუნიციპალიტეტის ფინანსებთან დაკავშირებულ რიგ საკითხებს.

ქვეყანაში საბიუჯეტო მოწყობის ძირითად და საკვანძო საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-თ. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი მიღებული იქნა 2009 წელს და ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვრიდან. საბიუჯეტო კოდექსმა ბევრ სხვა სიახლესთან ერთად გააერთიანა სხვადასხვა დონის ბიუჯეტების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მანამდე რამოდენიმე კანონით იყო დარეგულირებული. შედეგად საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ამოქმედებისთანავე, სხვა კანონებთან ერთად, გაუქმდა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი შედგება ექვსი კარისაგან. მათ შორის, პირველი, მეორე და მეექვსე კარი საერთოა ბიუჯეტებისთვის და შესაბამისად, ადგენს ნორმებს ყველა დონის ბიუჯეტისთვის. კოდექსის მე-3 კარით დარეგულირებულია სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები, მე-4 კარი ადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო წესებსა და პროცედურებს, ხოლო მე-5 კარში მოცემულია ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები.

გარდა აღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი საკანონმდებლო აქტებია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „სახელმწიფო აუდიტის შესახებ“, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, „ბურალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, „ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები და სხვა.

ქვეყანაში საბიუჯეტო სისტემას, გარდა ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა, ასევე არეგულირებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ამ აქტებით დამტკიცებული მეთოდოლოგიები. ასევე, საბიუჯეტო პროცესის მიმდინარეობისას ყოველწლიურად გამოიცემა კანონქვემდებარე ინდივიდუალური აქტები, რომლებიც გამომდინარეობს შესაბამისი ნორმატიული აქტებიდან.

საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტებიდან უნდა გამოიყოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებები „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ და „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“. ეს ორი ბრძანება არეგულირებს როგორც სახელმწიფო დონეზე საბიუჯეტო მოწყობის საკითხებს, ასევე, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენისა და აღსრულების წესებსა და პროცედურებს.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით კლასიფიცირდება ბიუჯეტში მისაღები და ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი ნაკადები. დამტკიცებული კლასიფიკაცია ეფუძნება და შესაბამისია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაწესებულ საერთაშორისო სტანდარტებთან. იგი ერთიანია საქართველოს ყველა დონის ბიუჯეტისათვის. კლასიფიკაციით განსაზღვრულია თუ როგორი ფორმა უნდა ჰქონდეს ბიუჯეტის ბალანსს, მოცემულია დეტალური მეთოდური მითითებები ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების სწორი აღრიცხვა-ანგარიშგებისთვის.

ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შემუშავება ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის სავალდებულო გახდა 2013 წლიდან. სწორედ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ ადგენს იმ წესებსა და ფორმას, თუ რა პერიოდში და რა სტრუქტურით უნდა განხორციელდეს წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადება, დამტკიცება, აღსრულება და ანგარიშგება. მეთოდოლოგია ადგენს როგორც ზოგად დებულებებს, რომლებიც საერთოა ყველა დონის ბიუჯეტისათვის, ასევე ცალ-ცალკე, თითოეული დონის ბიუჯეტისათვის, განსაზღვრავს ბიუჯეტის და მისი პროგრამების შედგენის დეტალურ ფორმატებს.

2018 წელს განახლდა მეთოდოლოგიის ის ნაწილი, რომელიც არეგულირებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო საკითხებს. ჩვენს შემთხვევაში საგულისხმოა სიახლეები რომლებიც დაადგინა განახლებულმა მეთოდოლოგიამ და რომლებიც მუნიციპალიტეტებისათვის სავალდებულო გახდება 2020 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესიდან.

საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში

თვითმმართველობების ბიუჯეტის პროექტის მომზადების, საკანონმდებლო ორგანოსათვის წარდგენის და დამტკიცების პროცედურები რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის XII თავით. ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესს კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო, რომელიც ამ პროცესში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობითა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული შესაბამისი მეთოდური მითითებებით. მუნიციპალური ბიუჯეტის მომზადების, შედგენის, დამტკიცებისა და ანგარიშგების პროცესის მოკლე აღწერა მოცემულია გრაფიკ #6-ზე.

გრაფიკი #6

არაუგვიანეს 1 მარტისა - იწყება მუშაობა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაზე/გადამუშავებაზე
არაუგვიანეს 15 ივლისისა - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ყველა მუნიციპალიტეტს აცნობებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრებს
არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აცნობებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს
არაუგვიანეს 15 ნოემბრისა - თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანო ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტის პირველად ვარიანტს და განსახილველად შეაქვე საკრებულოში
პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის საკრებულოში წარდგენიდან არაუგვიანეს 5 დღისა საკრებულო პრიორიტეტების დოკუმენტს და ბიუჯეტის პროექტს აქვეყნებს საჯარო განხილვებისათვის.
არაუგვიანეს 25 ნოემბრისა - შენიშვნების არსებობის შემთხვევაში საკრებულო ბიუჯეტს გადამუშავებისათვის უბრუნებს აღმასრულებელ ხელისუფლებას
არაუგვიანეს 10 დეკემბრისა - აღმასრლებელი ხელისუფლების მიერ ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებული ვარიანტი საკრებულოს დასამტკიცებლად უბრუნდება არაუგვიანეს
არაუგვიანეს 31 დეკემბრისა საკრებულო, ბიუჯეტის პროექტის დადგენილი წესით განხილვების შემდგომ, ამტკიცებს დასაგეგმი წლის ბიუჯეტს
ბიუჯეტის დამტკიცებიდან 15 დღეში მტკიცდება ბიუჯეტის ყოველთვიური/ყოველკვარტალური განწერა
თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღეში ამზადებს ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიურ ანგარიშს. ხოლო, ყოველი კვარტლის დასრულებიდან ერთ თვეში და წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა ამზადებს ბიუჯეტის კვარტალური და წლიური შესრულების ანგარიშებს, რომლებიც წარედგინება საკრებულოს
არაუგვიანეს 1 მაისისა ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში საჯაროდ განიხილება საკრებულოში, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი

ბიუჯეტის შემოსულობები

ჩვენ განვიხილავთ ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს 2022-2024 წლების მიხედვით, წარმოვადგენთ მათ სიდიდეებს, წილს მთლიან შემოსულობებში და დინამიკას ბოლო 3 წლის მიხედვით.

გრაფიკი #9



ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა 2019 წელს (გრაფიკები #10 და #11). აღნიშნული უკავშირდება 2019 წლის 1 აინვრიდან საბიუჯეტო კოდექსში ამოქმედებულ ცვლილებას, რომლიც მიხედვითაც, ერთის მხრივ, გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე, საშემოსავლო გადასახადის ის სახეები რომლებიც გასულ წლებში ირიცხებოდა ადგილობრივ ბიუჯეტებში აღარ ჩაირიცხება მუნიციპალიურ ბიუჯეტებში. ხოლო მეორეს, მხრივ ამოქმედდა ე.წ. გადასახადების განაწილების პრინციპი, რომლიც მიხედვითაც ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხება დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მობილიზებული თანხის 19%. ამ თანხის განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით ხორციელდება ასევე საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

გრაფიკი #10



საგადასახადო შემოსავლების ამ რეფორმის მიხედვით ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში დამატებითი ღირებულების გადასახადიდან დაგეგმილია 23,2 მლნ ლარის მიღება, რაც ქონების გადასახადთან ერთად ჯამში 29,0 მლნ ლარს შეადგენს. შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლების წილი ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში მიაღწევს 72%-ს.

გრაფიკი #11



2024 წელს წინა წლებთან შედარებით გაზრდილია მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული ტრანსფერების მოცულობა. შემოსავლების ამ სახეობაში 2022 წელთან შედარებით ზრდა ნომინალურ გამოხატულებაში შეადგენს 3,0 მლნ ლარს, ხოლო 2023 წელთან შედარებით - 1,0 მლნ ლარს.

გრაფიკი #12



სხვა შემოსავლების და კაპიტალური შემოსავლების კუთხით 2024 წელს გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვანი ცვლილება არ არის. შემოსავლების ეს წყაროები მთლიან შემოსავლებში შემდეგი წლობრივი მაჩვენებლით არის მოცემული: სხვა შემოსავლები - 7% (2,7 მლნ ლარი), არაფინანსური აქტივების კლება - 1,0% (430,0 ათასი ლარი).

გრაფიკი #13



ნაშთის ცვლილება

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი წლის განმავლობაში გადასახდელების დაფინანსებისათვის ითვალისწინებს ნაშთის გამოყენებას 11,9 მლნ ლარის ოდენობით. 2022-2024 წლებში ნაშთის დაგროვება/გამოყენების მაჩვენებლები წარმოდგენილია გრაფიკ #14-ზე.

გრაფიკი #14



ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასხადელები (1 თებერვლის მდგომარეობით) განსაზღვრულია 52,964.6 ათასი ლარით (გარიფი #15). 2024 წლის ასიგნებები მნიშვნელოვნად აჭარბებს გასული 2 წლის ფაქტიურ მაჩვენებლებს.

გრაფიკი #15



გრაფიკებში #16-#17 მოცემულია 2022-2024 წლებში ხაშურის მუნიციპალიტეტის ასიგნებები (მთლიანი ხარჯები) პრიორიტეტების მიხედვით, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე თითოეული პრიორიტეტი პროცენტულად მთლიან ხარჯთან. ხოლო გრაფიკზე #18 ანალოგიური მაჩვენებლები ჯამურად ბოლო 3 წლის მიხედვით (2022-2024 წლები).

გრაფიკი #16



გრაფიკი #17



გრაფიკი #18



2022-2024 წლებში მუნიციპალური ბიუჯეტის ასიგნებებიდან ყველაზე მეტი ხარჯი ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მოდის და იგი მთლიანი ბიუჯეტის 44%-ია, ხოლო ყველაზე ნაკლები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტზე - 7%. განათლების პრიორიტეტის დაფინანსებას მთლიანი ხარჯების 15% ხმარდება, მმართველობითი ხარჯების დაფინანსებას ასევე 15%, ხოლო

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების პრიორიტეტისთვის დაიხარჯება ბიუჯეტის 11%.

2024 წლის ბიუჯეტში პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

	ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები	**ათასი ლარი**
01 00	ინფრასტრუქტურა	26,215.5
02 00	მმართველობა	7,666.8
03 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	5,159.4
04 00	განათლება	7,828.5
05 00	დასუფთავება და გარემოსა დაცვა	4,103.4
06 00	ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,990.9

გრაფიკი #19



წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში (1 თებერვლის მდგომარეობით) გათვალისწინებულია 7,666.8 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 14,5%-ს შეადგენს. 2022-2024 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #20-ზე.

გრაფიკი #20



2024 წელს გამოყოფილი ასიგნებებიდან ფინანსდება შემდეგი ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსება - 2024 წელი

ათასი ლარი

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	**7,666.8**
საკრებულო	1,903.6
მერია	5,394.2
სარეზერვო ფონდი	184.1
მგფ-სა და სხვა ვალდებულებების დაფარვა	159.9
საგანგებო მდგომარეობის ღონისძიებათა პროგრამა	25.0

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების პრიორიტეტის ასიგნებების წილობრივი მაჩვენებლები მოცემულია გრაფიკ #21-ზე.

გრაფიკი #21



წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების ხარჯებიდან 70% (5,4 მლნ ლარი) ხმარდება მუნიციპალიტეტის მერიის (აღმასრულებელი ხელისუფლების) ხარჯებს. დარჩენილი თანხიდან 25% (1,9 მლნ ლარი) მოდის საკრებულოს ხარჯებზე, 3% (184,1 ათასი ლარი) - სარეზერვო ფონდზე და 2% (159,9 ათასი ლარი) მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურებაზე.

ინფრასტრუქტურის განვითარება

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 49% გამოყოფილია ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 26,215.5 ათას ლარს შეადგენს.

გრაფიკი #22



ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტიდან დაფინანსებული ძირითადი პროგრამების ხვედრითი წილი მთლიანად პრიორიტეტის დაფინანსებაში წარმოადგენილია გრაფიკ #23-ზე. როგორც გრაფიკი #23-დან ჩანს ყველაზე მეტი თანხა გამოიყოფა საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე - 9,9 მლნ ლარი, რაც მთლიანი პრიორიტეტის 38%-ს შეადგენს. შემდეგ მოდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების პროგრამები 26% (7,0 მლნ ლარი), მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება - 12% (3,2 მლნ ლარი), წყლის სისტემები - 11% (2.8 მლნ ლარი) და სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 10% (2,6 მლნ ლარი).

<u>გრაფიკი #23</u>



<u>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების</u> პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება გზების მიმდინარე შეკეთებას. მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალური გზების 20% სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაობის ჩატარება. სარეაბილიტაციო გზების შერჩევა და პრიორიტეტიზაცია ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 3 ქვეპროგრამა:

- გზების მიმდინარე შეკეთება;
- ახალი გზების მშენებლობა;
- ნაპირსამაგრი სამუშაოები;

გზების მმიმდინარე შეკეთების ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) შეკეთება/რეაბილიტაცია. სამუშაოების მოცულობა დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერზე. ბოლო წლების განმავლობაში, საშუალოდ წლის განმავლობაში, კაპიტალური რეაბილიტაცია უტარდება 8000 გრძ/მ გზას (მათ შორის ახალი გზებია 3500გრძ/მ, ან ბეტონის გზაა 1500 გრძ/მ)

ახალი გზების მშენებლობის ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ახალი გზების მოწყობა. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა- რეაბილიტაციას (მათ შორის, ე.წ. ორმული შეკეთება), ასევე, არაასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას. წლის განმავლობაში საშუალოდ ხორციელდება 300000 კვ/მ გზის მიმდინარე შეკეთება; ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება ზამთრის პერიოდში გზების თოვლის საფარისგან გაწმენდა.

ნაპირსამაგრი სამუშაოების ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ნაპირების გამაგრებითი სამუშაოები.

კეთილმოწყობის ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდება ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში შემავალ ქალაქებსა და სოფლებში განსახორციელებელი პროექტებისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შეძენა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების, სადარბაზოების და ლიფტების რესტავრაცია, პარკებისა და სკვერების მშენებლობა - რეაბილიტაცია, სპორტული მოედნებისა და დარბაზების მოწყობა - რეაბილიტაცია, სახლების და სახურავების მოწყობა-რეაბილიტაცია, სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიების ინფრასტუქტურის მოწყობა. პროგრამის მიზანია: პარკებისა და სკვერების მოწყობა მუნიციპალიტეტის მასშტაბით, არსებული სკვერების რეაბილიტაცია, ძველი სპორტული მოედნების შეკეთება, გოგონებისა და ბიჭებისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი სპორტული დარბაზის გახსნა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის მიზნით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრები მოსახლეობისათვის უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნა, სასაფლაოების ადგილმდებარეობის დაკვალვა, ფართის თანაბარ ნაწილებად განაწილება, ტერიტორიების შემოღობვა და სველი წერტილების მოწყობა.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის ასიგნებების 8% გამოყოფილია დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 4,103.4 ათას ლარს შეადგენს.

გრაფიკი #24



ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტიდან ფინანსდება დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამა და ა(ა)იპ ახალციხის სერვის ჯგუფის ხარჯები. ხარჯების სტრუქტურა და სიდიდე წარმოდგენილია გრაფიკ #25-ზე.

გრაფიკი #25



<u>დასუფთავება და ნარჩენების გატანა</u> - პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტისათვის სანაგვე ურნების და სპეცტექნიკის შეძენა. ქვეპროგრამის მიზანია დასუფთავების ღონისძიების განხორციელებისთვის ხელშეწყობა და სხვა.

მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება (კონტეინერების შეძენა) მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი ქალებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ძირითადად ქალები არიან ჩართული საოჯახო საქმეებში და მათი არაანაზღაურებადი შრომის ნაწილია საყოფაცხოვრებო ნარჩენებზე ზრუნვა.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიის დასუფთავება, რაც თავის მხრივ მოიცავს მუნიციპალიტეტის ქალაქების, სოფლების, ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების, ეზოების, პარკების დაგვას, ნარჩენების შეგროვებას და გატანას. მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის დახმარებით განხორციელდა ნაგვის ურნების შეძენა. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხეტიალე უპატრონო ცხოველების იმუნიზაცია, კასტრაცია და სტერილიზაცია.

ისეთი ხარჯები, როგორიცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ, დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის პროგრამიდან. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნაგვის გატანაზე მუშაობს 10 ნაგავმზიდი.

განათლება

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი განთლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ითვალისიწინებს 7,8 მლნ ლარს. ამ პრიორიტეტის დაფინანსება ბოლო 3 წლის განმავლობაში წარმოდგენილია გრაფიკ #26-ზე. 2024 წელს გასულ წელთან შედარებით ასიგნებების მოცულობა გაზრდილია 2,2 მლნ ლარით, ხოლო 2017 წელთან - 3,4 მლნ ლარით.

<u>გრაფიკი #26</u>



განათლების პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

<u>განათლების პრიორიტეტის დაფინანსება - 2024 წელი</u> (ათასი ლარი)

	სულ	საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ფონდები
სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	5,817.0	5,817.0	
სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია	1,615.6	1,615.6	
საჯარო სკოლების ხელშეწყობა	351.6		351.6
ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს	44.3	44.3	
სულ	**7,828.5**	**7,476.9**	**351.6**

<u>სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება და რეაბილიტაცია</u> – ახალციხის მუნიციპალიტეტის მომავალი თაობების აღზრდაში დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაგა-ბაღების გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ღონისძიება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს საბავშვო ბაღების საქართველოს

მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან მიახლოვებული ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსებას. პროგრამის მიზანია: სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება, სკოლამდელი განათლების სისტემის ხელშეწყობა, სკოლამდელი აღსაზრდელების ფიზიკური ჯანმრთელობა, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის დახვეწა, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესება. საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, რომელსაც უზრუნველყოფს ახალციხის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. აღნიშნული დაწესებულების ვალდებულებაა საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, საზოგადოების აქტიური ჩართვა მიმდინარე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში, აღსაზრდელთა ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირება, სააღმზრდელო ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესება, დახვეწა და მოსახლეობის ინტერესებზე მორგება. ყურადღება გამახვილდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელთათვის საჭირო აქტივობის ამაღლებასა და საზოგადოებაში სოციალურ ინტეგრაციაზე, ისე როგორც ეროვნული უმცირესობის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაზე. მნიშვნელოვანია სკოლამდელი აღზრდის ასაკიდანვე მათთვის ქართული ენის შესწავლა.

გრაფიკი #26



კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს 5,2 მლნ ლარის გამოყოფას, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 9,7%-ია.

გრაფიკი #27



პრიორიტეტის ფარგლებში 2024 წლის ბიუჯეტიდან დაფინანსდება 3 ძირითადი პროგრამა:

	კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	**ათასი ლარი**
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2670.9
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2375.1
05 03	ახალგაზრდობის ხელშეწყობა	113.4
	სულ	**5,159.4**

ახალციხის მუნიციპალტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებებიდან სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე მოდის პრიორიტეტის მთლიანი ასიგნებების 52%, კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე - 46% და ახალგაზრდობის პროგრამის დაფინანსებაზე - 2% (გრაფიკი #28).

<u>გრაფიკი #28</u>



სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა აერთიანებს 3 ქვეპროგრამას. ესენია:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა	**ათასი ლარი**
ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება	1239.8
სპორტული ობიექტების აღჭურა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	1217.1
სპორტული ღონისძიებები	214.0
სულ	**2,670.9**

<u>გრაფიკი #29</u>



<u>ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება -</u> სპორტული გაერთიანება მოიცავს 8 სპორტულ მიმართულებას (კლუბს), ესენია: ფეხბურთი, სპორტული გაერთიანების

ბაზაზე ფუნქციონირებს ფეხბურთის გუნდი ,,სამცხე“, ჭიდაობისა და ძიუდოს კლუბი, მძლეოსნობის კლუბი, რაგბის კლუბი, ჭადრაკის კლუბი, კალათბურთის კლუბი, კრივის კლუბი, ორთაბრძოლის კლუბი, სპორტულ გაერთიანებაში სპორტის სახეობებს ეუფლება 470 მოზარდი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ, სპორტულ გაერთიანებაში დასაქმებულია 85 თანამშრომელი. სპორტული გაერთიანების სპორტსმენები პერიოდულად მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონალური და რესპუბლიკური მასშტაბით, მონაწილეობენ საერთაშორისო შეჯიბრებებშიც. 2023 წელს გაერთიანების სპორტსმენებმა სპორტის სხვადასხვა სახეობებში მოიპოვეს ოქროს 47, ვერცხლის 34 და ბრინჯაოს 54 მედალი.

<u>სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტში ხორციელდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა; ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცხოვრების დონის ამაღლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და სხვ.

<u>სპორტული ღონისძიებები</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძებებში მონაწილეობის მისაღებად სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირების ორგანიზება; ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული, რომლებშიც მონაწილეობენ ახალციხის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები. ქვეპროგრამის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში და სხვ.

კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა აერთიანებს 8 ქვეპროგრამას. ესენია:

კულტურის განვითარების ხელშეწყობა	**ათასი ლარი**
კულტურის დაწესებულებების გაერთიანება	664.5
სამუსიკო სკოლა	522.8
კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	325.1
კულტურის ღონისძიებები	316.9
კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	200.0
სამხატვრო სკოლა	190.8
თეატრები	125.0
სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია	30.0
სულ	**2,375.1**

გრაფიკი #30



კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის - ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 კულტურის სახლი, 1 სკოლა- მუზეუმი, 13 ბიბლიოთეკა, 13 ახალგაზრდული ცენტრი და ფოლკლორული ანსამბლი - ,,მესხეთი". კულტურის სახლებში გაერთიანებულია ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული, ფოლკლორული, ბავშვთა მუსიკალური წრეები. წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 800 აღსაზრდელი, ფოლკლორული ანსამბლი ,,მესხეთი" შედგება 11 წევრისაგან. ანსამბლი აქტიურად მონაწილეობს როგორც მუნიციპალიტეტში დაგეგმილ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის გარეთ სხვადასხვა ფესტივალებში. გაერთიანებაში შემავალ სოფელ მუსხის სკოლა-მუზეუმში, ახალგაზრდები ეუფლებიან ტრადიციული, მესხური ფარდაგ-ხალიჩების ქსოვის, მატყლის დამუშავების ხელოვნებას. დღეის მდგომარეობით მუზეუმში განთავსებულია 3000 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 800-ს. მუნიციპალიტეტის 13 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 139 150 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლობით 18 000 მოსახლე (გაცემული წიგნების რაოდენობის მიხედვით) 2024 წლისათვის 12 000 ლარია გათვალისწინებული ახალი წიგნების შესაძენად (მკითხველთა მოთხოვნის შესაბამისად).

ა(ა)იპ ,,სკოლისგარეშე სახლევნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა" - ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება 3 სამუსიკო სკოლა: ქალაქ ახალციხის, ქალაქ ვალის და სოფელ აწყურის სამუსიკო სკოლები, რომლებშიც დაწყებით და საბაზისო მუსიკალურ განათლებას 2022-2023 სასწავლო წელს იღებს სულ 454 მოსწავლე. ორგანიზაციაში დასაქმებულია 50 პედაგოგი და 18 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. სამუსიკო სკოლებში ფუნქციონირებს 5 განყოფილება: საფორტეპიანო, საგუნდო-

სადირიჟორო, ჩასაბერი ინსტრუმენტების (ფლეიტა), დასარტყამი ინსტრუმენტების და საორკესტრო. ქვეპროგრამის განხორციელების მიზანია ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მომავალი თაობების მუსიკალური, კულტურული და ესთეტიკური აღზრდა, მუნიციპალიტეტის კულტურული გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარება, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა, გარე სამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბება, საზოგადოების აქტიური ჩართვა მიმდინარე კულტურულ პროცესებში, სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლეთა დაინტერესება.

ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება ახალციხის სამხატვრო სკოლა - ახალციხის სამხატვრო სკოლაში ისწავლება ხელოვნების შემდეგი მიმართულებები: ხატვა, ფერწერა, მოდელირება, ქანდაკება, კერამიკა, გამოყენებითი ხელოვნება, ხალხური ფარდაგების და თექის დამზადების ტექნოლოგიის შესწავლა. სკოლა წარმატებულია როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით. სკოლის მოსწავლეებს სხვადასხვა გამოფენებსა და კონკურსებში მიღებული აქვთ საპრიზო ადგილები. სკოლაში დასაქმებულია 13 თანამშრომელი. ახალციხის სამხატვრო სკოლაში 2022-2023 სასწავლო წელს ირიცხებოდა 329 მოსწავლე. სწავლის მსურველთა რიცხვი იზრდება ყოველწლიურად.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი ჯანმრთელობისა დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 2,0 მლნ ათასი ლარის გამოყოფას, რაც მთლიანი ბიუჯეტის ასიგნებების 3,8%-ს შეადგენს.

გრაფიკი #31



პრიორიტეტის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი ძირითადი ქვეპროგრამები:

სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები (ათასი ლარი)

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	830.5
ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	323.4
დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება	319.8
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარება	270.0
ერთჯერადი დახმარება ყოველ ახალშობილზე	99.0
სხვა სოციალური პროგრამები	148.2
სულ	**1,990.9**

<u>მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება</u> - ქვეპროგრამის მიზანი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო/სარეაბილიტაციო მომსახურებასა და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის ზრდა. ონკოლოგიურ პაციენტთა, შშმ ვეტერანთა, ქრონიკული დაავადების მქონე ბენეფიციართა, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა, სოციალურად დაუცველთა და სხვა კატეგორიის პაციენტთა მხარდაჭერა ჯანმრთელობის პრობლემების გადასაჭრელად ფინანსური დახმარების გზით.

<u>გრაფიკი #32</u>



<u>ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი</u> - ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლში ბენეფიციარების კვებით უზრუნველყოფა ხდება მათი მომართვის საფუძველზე. დღეის მდგომარეობით 190 -მდე სოციალურად დაუცველის სტატუტის მქონე პირის, უსახლკარო და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირის

განაცხადია გაკეთებული სოციალურ სამსახურში კვებით უზრუნველსაყოფად. სათნოების სახლს აქვს 200 ბენეფიციარის გამოკვების შესაძლებლობა ქალაქის მასშტაბით. მომავალი წლისთვის არ იგეგმება მომართვიანობის ზრდა, ვინაიდან დღეის მდგომარეობით არ გვყავს 190 ბენეფიციარზე მეტი. ბენეფიციარების უმეტეს ნაწილს ასაკოვანი ადამაიანები შეადგენენ, ამიტომ გარდაცვალების რისკიც საკმაოდ მაღალია. ამის გამო წლის განმავლობაში ხშირად ხდება ბენეფიციარების ჩანაცვლება. პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ ბენეფიციართა ძირითად ნაწილს ქალბატონები წარმოადგენენ, რადგან მამაკაცები სხვადასხვა მიზეზის გამო არ მიმართავენ სოციალურ სამსახურს დახმარებისთვის, ხშირად სხვა ბენეფიციართა დახმარებით ხერხდება მათი დაკმაყოფილება, აქედან გამომდინარე, საჭიროა მათთან მეტი შემეცნებითი სახის მუშაობა.

<u>იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება</u> - ქვეპროგრამა ითვალისწინებს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის/დევნილთათვის და ლტოლვილთათვის, რომლებიც სარგებლობენ ჰუმანიტარული სტატუსით საქართველოში სადღესასწაულო (საახალწლო და სააღდგომო) დღეებში სოციალური დახმარების გაცემას ფულადი ან მატერიალური ფორმით. ასევე ჰემოდიალიზით მოსარგებლეთა სოციალურ დახმარებას ფულადი ფორმით, მათ ფინანსურ მხარდაჭერას, მზრუნველობამოკლებულთა და უკიდურესად გაჭირვებულთა, რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები და სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული პირების, მარტოხელა დედის და მარჩენალდაკარგულის სტატუსის მქონე ოჯახების, სოციალურად დაუცველის სტატუსის არმქონე ღარიბი/ღატაკი, ბავშვიანი ოჯახის, ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ტუბერკულოზით დაავადებული (ტუბერკულოზის რეზისტენტული და სენსიტიური ფორმა) მოქალაქეების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების სურსათით უზრუნველყოფას ყოველკვარტალურად, ხოლო სათნოების სახლის კვებით მოსარგებლე ბენეფიციარებისთვის ფულად დახმარებას სააღდგომოდ და საახალწლოდ. უსახლკაროთა ბინის ქირით უზრუნველყოფას და სხვ.

<u>შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარება</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირებისთვის და შშმ ბავშვთათვის ყოველთვიური, კვარტალური და ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად; მკვეთრად გამოხატული შშმ პირების, მნიშვნელოვნად გამოხატული უსინათლო პირებისათვის არაფორმალური განათლების მისაღებად ხმოვანი კომპიუტერული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა და შშმ პირების ადაპტირებულ დასასვენებელ სახლში გასაგზავნად შესაბამისი პროექტების ფინანსური მხარდაჭერა, ბენეფიციარებისთვის სხვა სერვისების მიწოდების ხელშეწყობა და სხვ. ქვეპროგრამის მიზანია მოსარგებლე ბენეფიციარების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ოჯახების თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა. პროგრამის სამიზნე ჯგუფებისათვის და მათი ოჯახებისთვის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება და სხვა.

ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით

2022-2024 წლების მიხედვით ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯამში დაიხარჯება 120,3 მლნ ლარი. აღნიშნული ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით მოცემულია #33-ზე და #34 გრაფიკებზე:

გრაფიკი #33



გრაფიკი #34



როგორც გრაფიკებიდან ჩანს ახალციხის მუნიციპალიტეტის ბოლო 3 წლის ბიუჯეტის ყველაზე მეტი (46%; 55,8 მლნ ლარი) ხარჯი კლასიფიცირდება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით, ამ მუხლით გაწეული ხარჯი სამივე საანგარიშო წელს აღემატება საბიუჯეტო კლასიფიკაციის სხვა მუხლებიდან გაწეულ ხარჯებს;

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლის მიხედვით სიდიდით მეორე ბოლო ჯამურად 3 წლის მიხედვით არის სუბსიდიის მუხლი. ჯამში, ეკონომიკური კლასიფიკაციის ამ მუხლით კლასიფიცირდება 33,4 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 28%). შემდეგ მოდის შრომის ანაზღაურების მუხლი, რომელიც მთლიანი გადასახდელების 9%-ს შეადგენს (11,0 მლნ ლარი), შემდეგ საქენელი და მომსახურება - 8% (9,7 მლნ ლარი) და ა.შ.,

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროპორცია ბოლო 3 წლის მიხედვით მოცემულია გრაფიკ #35-ზე.

გრაფიკი #35

მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები 2022-2024 წლებში